

“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი” (დონეცკი) 2:3 (1:2).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 16 აპრილი.

“დინამო”: მჭედლიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, მუჯირი, ჯოხაძე (გურული), სვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული (ცაავა), კაკილაშვილი, შენგელია.

“შახტიორი”: დეგტიარევი, ვარნავსკი, სოპკო, სიმონოვი, პარხომენკო, რუდაკოვი, რადენკო (აკიმენკო), სოკოლოვსკი, მოროზოვი (პიანიხი), იურჩენკო, გრაჩოვი.

მსაჯი: ა. კადეტოვი.

გააფრთხილეს: სიმონოვი და პარხომენკო.

სპორტში გამარჯვება საერთოდ ძლიერს რჩება. როცა საუბარი კონკრეტულ შეხვედრას, მატჩს შეეხება, სიტყვა “ძლიერი”, ცოტა არ იყოს, იცვლის მნიშვნელობას, ალბათ ამიტომაც იტყვიან ხოლმე – ამ მატჩში მავანი და მავანი უფრო ძლიერი გამოდგაო. ნუ უგულებელვყოფთ ამ დაუწერელ კანონს და ვთქვათ: გუშინდელ მატჩში “შახტიორი” მეტოქეზე უკეთ თამაშობდა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

სხვა საქმეა, რომ ნებისმიერ გამარჯვებასა თუ მარცხს თავისი მიზეზები აქვს, ნებისმიერ შედეგს ერთი ან რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

მატჩის დასაწყისის მიხედვით არც თუ იოლი იყო შეხვედრის საბოლოო შედეგის განსაზღვრა. “დინამომ” თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და კარგა ხანს საკმაოდ საინტერესოდ და სახიფათოდ უტევდა მეტოქეს. თბილისელთა ამ იერიშებში დროდადრო მცველებიც მონაწილეობდნენ (ჟიბა). სტუმრების მცველთა ხუთეულს (პახომენკო პერსონალურად მეურვეობდა შენგელიას) თანდათან გაუჭირდა. მე-13 წუთზე ჯოხაძის ჩაწოდებული ბურთი ვარნავსკიმ ხელით შეაჩერა საჯარიმოში. პენალტი. შენგელიამ ზუსტად დაარტყა და თბილისელები დაწინაურდნენ – 1:0. სამწუხაროდ, ეს იყო და ეს. მასპინძლებმა რატომღაც მოთავებულად ჩათვალეს საქმე, შეანელეს ტემპი, მოაღუნეს ყურადღება და შედეგმაც არ დააყოვნა – 25-ე და 42-ე წუთებზე “შახტიორის” სწრაფი კონტრშეტევების შემდეგ მოროზოვმა და რუდაკოვმა ორი ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში. ჩემი აზრით, სწორედ ეს – მეტოქის ძალის შეუფასებლობა თუ კეთილი დასასრულის ერთობ ნაადრევი რწმენა იყო გუშინდელი მარცხის პიველი და მთავარი მიზეზი.

რა თქმა უნდა, როცა თამაშის დასრულებამდე მთელი 45 წუთია დარჩენილი, ერთი ბურთით დაწინაურებული მეტოქის დამარცხება შეუძლებელი როდია. საამისო მაგალითები ფეხბურთში უამრავია. ვფიქრობ, ერთობ სარისკო იყო მდგომარეობის გამოსწორების ის ვარიანტი, რომელიც თბილისელებმა აირჩიეს. ნახევარმცველთა ხარჯზე თავდასხმის გაძლიერების ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ჯერ მანამდე ჭირდა “შახტიორის” ფეხბურთელების, განსაკუთრებით კი გრაჩოვისა და მოროზოვის შეჩერება, მერე კი “შახტიორს” მთლად გაეხსნა ხელ-ფეხი და მასპინძელთა კართან ზედიზედ შეიქმნა საგოლე მომენტები. ერთ-ერთი მათგანი სოკოლოვსკის უძლიერესი დარტყმით და გოლითაც დასრულდა.

სავსებით შესაძლებელია, რომ ამ მეორე, ალბათ არც თუ უმნიშვნელო ფაქტორმაც მოახდინა გავლენა იმაზე, რომ “დინამომ” ვერ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. ცაავას მინდორზე გამოსვლამ გააძლიერა მასპინძელთა იერიშები, კაკილაშვილმა ბურთიც გაიტანა, მაგრამ 90-ე წუთზე გატანილი გოლი თბილისელთათვის უფრო საპრესტიჟო იყო – 2:3.

და კიდევ ერთი: მიუხედავად საკმაოდ უსიამო მარცხისა, ჩვენი გუნდის თამაშმა მაინც არ დატოვა ცუდი შთაბეჭდილება. იქნებ უცნაურიც იყოს ასეთი განცხადება, მაგრამ ყველაფრით იგრძნობა, რომ არც თუ შორეულ მომავალში თბილისის “დინამო” საკმაოდ კარგად ითამაშებს.

ი. ბერიაშვილი.

“ლელო”, 17 აპრილი, 1983 წ.